პროექტი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლემენტის არჩევნების პროცესში

მონიტორინგის გეგმა			
N	**თარიღი/ დრო**	**მისამართი**	**ღონისძიება**
1	01/09/2016	ქ.ბათუმი, სასტუმრო „თანამგზავრი“, 6010 შევარდნაძის აღმართი	ზუგდიდის, ოზურგეთის, ქუთაისის, ამბროლაურის, ფოთის, ბათუმისა და ახალციხის წარმომადგენელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ადგილობრივი მედია-საშუალებების ჟურნალისტების გაცნობითი საღამო/შეხვედრა.
2	02/09/2016 10:00 – 18:00	ქ.ბათუმი, სასტუმრო „თანამგზავრი“, 6010 შევარდნაძის აღმართი	ზუგდიდის, ოზურგეთის, ქუთაისის, ამბროლაურის, ფოთის, ბათუმისა და ახალციხის ადგილობრივი მედია-საშუალებების წარმომადგენლების ტრენინგი. რათა ჟურნალისტებმა მიიღონ ობიექტური ინფორმაცია შშმ ადამიანთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. გაეცნობიან არჩევნებთან დაკავშირებულ კანონებსა და რეგულაციებს, ინფორმირდებიან მათი როლის მნიშვნელობაზე, შშმ პირთა საარჩევნო ჩართულობის ამაღლების პროცესში.
3	03/09/2016 10:00-18:00	ქ.ბათუმი, სასტუმრო „თანამგზავრი“, 6010 შევარდნაძის აღმართი	ტრენინგი და მრგვალი მაგიდა ზუგდიდის, ოზურგეთის, ქუთაისის, ამბროლაურის, ფოთის, ბათუმისა და ახალციხის წარმომადგენელ შშმ აქტივისტებთან. მოხდება შშმ აქტივისტთა პრეზენტაცია, იმ გამოწვევებისა და გადაჭრის გზების შესახებ, რაც მათ რეგიონებშია შშმ პირთა საარჩევნო ჩართულობის/აქტივიზმის მხრივ. ტრენინგის განხორციელების პარალელურად, მთელი დღის განმავლობაში, მოწვეული ჟურნალისტები მოამზადებენ მასალებს ადგილობრივი მედია-საშუალებებისთვის, რომელიც ორიენტირებული იქნება 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში შშმ პირთა ჩართულობის მოტივირებაზე.
4	04/09/2016 10:00-18:00	ქ.ბათუმი, სასტუმრო „თანამგზავრი“, 6010 შევარდნაძის აღმართი	ჟურნალისტების მიერ მომზადებული მასალების პრეზენტირება. პროექტის სამუშაო ჯგუფი, ტრენერები და შშმ აქტივისტები მოწვეულ ჟურნალისტებთან ერთად განიხილავენ მომზადებულ მასალებს. მასალები შეფასდება ინკლუზიურობის გათვალისწინებისა და კონვენციის სხვა პრინციპის შესაბამისად.